2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი საქართველოს რეგიონებში

აჭარა, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი

2020

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი საქართველოს რეგიონებში

(აჭარა, იმერეთი და სამცხე-ჯავახეთი)

დოკუმენტი მომზადებულია
ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ავტორი:	ნინო ცაგარეიშვილი
რედაქტირება:	ალეკო ცქიტიშვილი
მონიტორები:	ანა ჩაფიძე, რუსუდან სახეჩიძე, გიორგი ბერიძე
ანგარიშის ყდაზე:	HUMANRIGHTS.GE-ს მედია დამკვირვებლის აკაკი გურგენიძის ფოტო

2020

არასამთავრობო ორგანიზაცია **ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)** დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC);www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ www.humanrights.ge
ვებ-საიტი: hridc.org

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

ანგარიში მომზადდა „შავი ზღვის ნდობის“ ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც წარმოადგენს აშშ-ის გერმანული მარშალის ფონდის პროექტს. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს შავი ზღვის ნდობის“ ან მისი პარტნიორების პოზიციას.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები ---------- 4

წინასაარჩევნო გარემო (15 მაისი - 1 სექტემბერი) ---------- 6

აჭარის რეგიონი ---------- 6

იმერეთის რეგიონი ----------12

საპროტესტო აქციები იმერეთისა და აჭარის რეგიონებში ----------14

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი----------15

ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი (1 სექტემბერი - 30 ოქტომბერი) (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი და იმერეთი) --------- 17

იმერეთის რეგიონი ----------17

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი----------18

აჭარის რეგიონი ---------- 20

არჩევნების დღე ---------- 21

იმერეთის რეგიონი (ხონი, წყალტუბო და ქუთაისი)----------21

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (ახალციხე, ახალქალაქი და ადიგენი) ----- 22

აჭარის რეგიონი (მახინჯაური, ბათუმი, ხელვაჩაური, გონიო და სარფი) 23

არჩევნების შემდგომი პერიოდი ---------- 24

რეკომენდაციები ---------- 26

ძირითადი მიგნებები

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, ასევე, არჩევნების დღეს საარჩევნო პროცესზე დაკვირვების შედეგებს აჭარის, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

წინასაარჩევნო პერიოდში ხშირი იყო ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების შემთხვევები აჭარის რეგიონში. აჭარის მთავრობისსარეზერვო ფონდიდან სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად გამოყოფილი სოციალური დახმარება, სასურსათე კალათები, მმართველი პარტიის მაჟორიტარმა დეპუტატებმა დაურიგეს მოსახლეობას. მსგავსი საქმიანობა მაჟორიტარი დეპუტატების კომპეტენციას არ მიეკუთვნება, რაც წარმოქმნის ეჭვს რომ მის რეალურ მიზანს მოახლოებულ არჩევნებში მმართველი პარტიის სასარგებლოდ მოსახლეობაში კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვება წარმოადგენდა.

ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენებას წარმოადგენს ასევე მმართველი პარტიის ლიდერების მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონებში მაჟორიტარ კანდიდატებთან ერთად ინფრასტრუქტურული პროექტების მონახულებისა და საზოგადოებასთან აფიშირების ხშირი შემთხვევები. ხაზი უნდა გაესვას, რომ რიგ შემთხვევებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს არანაირი კავშირი არ ჰქონდათ მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან. შესაბამისად, აშკარაა რომ მსგავსი ერთობლივი „მონახულებებისა“ და ამის შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელების რეალურ მიზანს წარმოადგენდა მაჟორიტარი კანდიდატებისათვის კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ხშირად ჰქონდა ადგილი ძალადობრივ ინციდენტებს. სამართალდამცავი ორგანოები, რიგ შემთხვევებში, ადეკვატურად არ რეაგირებდნენ და დამნაშავეებს არ აძლევდნენ პასუხისგებაში. მსგავს შემთხვევას წარმოადგენდა, მაგალითად, ახალქალაქი-ნინოწმინდის მაჟორიტარი დეპუტატის, ენზელ მკოიანის მხრიდან ხულიგნობის ნიშნების შემცველი ქმედება. მიუხედავად იმისა, რომ მასმედიით გავრცელებული ფოტო და ვიდეო მასალა ნათლად მიუთითებდა ენზელ მკოიანის მხრიდან ხულიგნობის ნიშნების შემცველი ქმედების ჩადენას, მის წინააღმდეგ საქმე არ აღძრულა.

იმერეთის რეგიონში, კერძოდ - ქუთაისში, ზაფხულის თვეებში, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე სკვერების მოწყობის მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა. 8 სკვერის მოწყობის სამუშაოების ღირებულება, საერთო ჯამში, მილიონ ლარს აღემატებოდა. სკვერები საკრებულოს მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატების მონაწილეობით გაიხსნა. არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე მსგავსი მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მათში საკრებულოს მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატების მონაწილეობა აჩენს ეჭვს, რომ მათ მიზანს წარმოადგენდა მოახლოებულ არჩევნებში მოსახლეობის კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვება.

არჩევნების დღეს განსაკუთრებით პრობლემური იყო საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე მმართველი პარტიის კოორდინატორებისა და აგიტატორების მიერ უბნებზე გამოცხადებული ამომრჩევლების შეჩერება და მათი აღრიცხვა, რაც ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე ზემოქმედებას წარმოადგენს და ხელს უშლის არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებას. მსგავს ქმედებებს ადგილი ჰქონდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

კენჭისყრის პროცესში არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი დარღვევები. თუმცა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში დისბალანსის ბევრი შემთხვევა გამოვლინდა მთელი საქართველოს მასშტაბით. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში უპრეცედენტო რაოდენობით შემაჯამებელი ოქმი შესწორდა[1]. ეს კი წარმოაჩენს კომისიის წევრთა კვალიფიკაციისა და გადამზადების კუთხით მნიშვნელოვან პრობლემებს.

[1] ცენტრალური საარჩევნო კომისიის სტატისტიკური ინფორმაცია შესწორების ოქმებისა და ახსნა-განმარტებების შესახებ: https://cesko.ge/geo/list/show/123377-statistikuri-informatsia-shestsorebis-oqmebisa-da-akhsna-ganmartebebis-shesakheb?fbclid=IwAR1Pr86dWFtEGFCnhCjmnJ82Al6dF-LjvGj-O94fKBLmdqHO3htKLy4oQmo;

წინასაარჩევნო გარემო (15 მაისი – 1 სექტემბერი)

- *აჭარის რეგიონი*

ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების შემთხვევები

ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ კრიზისთან დაკავშირებით, მარტის ბოლოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 367 332 ლარი გამოიყო, რითაც შეძენილ იქნა პროდუქტები აჭარის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის გადასაცემად[2]. 2020 წლის აპრილში, პანდემიასთან დაკავშირებით, ცვლილებები შევიდა აჭარის 2020 წლის ბიუჯეტში, მათ შორის, დაფინანსება შეუმცირდა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. სარეზერვო ფონდის ოდენობა 3.8 მილიონი ლარით გაიზარდა და 6.8 მილიონი ლარი შეადგინა[3]. საგანგებო ბიუჯეტით გაზრდილი სარეზერვო ფონდიდან გაგრძელდა სასურსათო კალათებით მოქალაქეთა დახმარება[4].

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან პანდემიით შექმნილ ვითარებაში სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის პროდუქტების შესაძენად თანხის გამოყოფა მიზნად ისახავდა კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფების დახმარებას, პანდემიის ფონზე ყოფით პრობლემებთან გასამკლავებლად[5]. შესაბამისად, აღნიშნული სოციალური დახმარებისათვის თანხის დროის მოცემულ მონაკვეთში გამოყოფა არ არის პრობლემური. თუმცა, სასურსათე კალათების მოსახლეობისათვის გადაცემის პროცესში უშუალოდ ჩაერთნენ პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები მმართველი პარტიიდან, რომელთა კომპეტენციაში მსგავსი საქმიანობა არ შედის. კერძოდ, სასურსათე კალათების მოსახლეობისათვის დარიგების პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ: ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ნაკაიძე, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი, ფატი ხალვაში და ხულოს, ქედისა და შუახევის მაჟორიტარი დეპუტატი, ანზორ ბოლქვაძე. აღნიშნული

[2] სტატია - „ვინ მიიღებს სასურსათო კალათას აჭარაში“: https://batumelebi.netgazeti.ge/news/273058/;
[3] სტატია - „განათლებისა და ფინანსთა სამინისტროების დაფინანსება 19 მილიონით მცირდება - აჭარის საგანგებო ბიუჯეტი'“: https://batumelebi.netgazeti.ge/news/273064/ ;
[4] სტატია - „ვინ მიიღებს სასურსათო კალათას აჭარაში“: https://batumelebi.netgazeti.ge/news/273058/ ;
[5] სტატია - „აჭარაში 7000 ოჯახისთვის პროდუქტების გადაცემის პროცესი დაიწყო“: http://adjara.gov.ge/description.aspx?gtid=911591#.X29qgZNKi1q

დეპუტატების ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე[6]-[7]-[8] გამოქვეყნდა ინფორმაცია მოსახლეობისათვის სასურსათე კალათების დარიგების შესახებ. საჯარო პოსტებში წარმოდგენილ ფოტოებში ასახულია ამ პროცესში მათი ჩართულობა და მითითებულია სოციალური დახმარების აჭარის მთავრობის ინიციატივით განხორციელების შესახებ.

სასურსათე კალათების შეძენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში, კანონის დაცვით განხორციელდა. სარეზერვო ფონდიდან თანხა, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ განკარგა. სასურსათე კალათების მოსახლეობისათვის გადაცემა აჭარის სამთავრობო უწყებების წარმომადგენლების კომპეტენციას წარმოადგენდა. არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, სოციალური დახმარების მოსახლეობისათვის დარიგების პროცესში მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატების ორგანიზებული ჩართვა, რომელთა მანდატი მსგავს საქმიანობას არ მოიცავს, წარმოქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული ქმედება, სავარაუდოდ, მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ ამომრჩეველთა კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვებას უკავშირდება.

საერთაშორისო თუ საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს ზუსტი დეფინიცია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ფინანსური ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენება. სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტიდან გამომდინარე, საერთო პრინციპების საფუძველზე, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ შემუშავებული დეფინიციის თანახმად, ფინანსური ადმინისტრაული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენებაა *„ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფულადი რესურსების მიმართვა რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო*

[6] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოწყვლად ჯგუფებზე სოციალური დახმარების, სასურსათე პაკეტების გადაცემის მეორე ეტაპი მიმდინარეობს“: https://www.facebook.com/plugins/post.php?href=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2FGDKobaNakaidze%2Fposts%2F1597306303750682&width=500

[7] ,,აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, აჭარაში 7000 ბენეფიციარს სასურსათო კალათა გადაეცემა“: https://www.facebook.com/GDAnzorBolkvadze/posts/2607275686066801

[8] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ინიციატივითა და მხარდაჭერით, აჭარაში გრძელდება მოწყვლად ჯგუფებზე სოციალური დახმარების სასურსათო კალათების გადაცემის მეორე ეტაპი“: https://www.facebook.com/GDPatiKhalvashi/posts/1942989646000651

აქტივობების ხელშეწყობისთვის"[9]. მმართველი პარტიის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების ჩართვა საპარლამენტო არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების დარიგების პროცესში შეიცავს აღნიშნული დეფინიციით განსაზღვრულ, ფინანსური ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების ნიშნებს.

ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს ეუთოს ძირითად პრინციპებს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებით, სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის უნდა არსებობდეს მკაფიო ზღვარი[10].

მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების დარიგება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენს. ამ პროცესში მმართველი პარტიის პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების ორგანიზებული ჩართვით, რომელთა სამსახურებრივ უფლებამოსილებაში მსგავსი საქმიანობა არ შედის, სახელმწიფოს მიერ მიწოდებული დახმარება დემონსტრირდა როგორც მმართველი პარტიის მიერ მიწოდებული. ეს კი ეწინააღმდეგება სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის მკვეთრი ზღვრის გავლების პრინციპს.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25² მუხლის თანახმად, პარტიას ეკრძალება საქართველოს მოქალაქეებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მატერიალური ფასეულობის გადაცემა. განხილული შემთხვევები შეიცავს კანონმდებლობით აკრძალული აღნიშნული ქმედების ნიშნებს.

აჭარის რეგიონში, ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების ხშირი შემთხვევები დაფიქსირდა ოფიციალურ საარჩევნო პერიოდამდე, 1 სექტემბრამდე რამდენიმე დღით ადრე.

29 აგვისტოს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ, „ქართული ოცნების" გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა, კახა კალაძემ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან, რესან კონცელიძესთან და აჭარის ავტონომიური

[9] გვ. 7, „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის", საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო: https://transparency.ge/sites/default/files/administraciuli_resursebis_gamoqeneba_2018_clis_sakartvelos_saprezidento_archevnebistvis.pdf

[10] ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის კოპენჰაგენის დოკუმენტი, პუნქტი 5.4: https://www.osce.org/files/f/documents/9/c/14304.pdf

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, ტიტე აროშაძესთან ერთად, ბათუმში, „განათლებისა და მეცნიერების ქალაქის“ მშენებლობა დაათვალიერეს[11]. 30 აგვისტოს, მმართველი პარტიის იგივე ლიდერები ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან, ანზორ ბოლქვაძესთან ერთად ხულო-ზარზმის გზის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ[12]. 31 აგვისტოს კი, ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ, ზაალ მიქელაძესა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ, ცოტნე ანანიძესთან ერთად ციხისძირში პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს[13]. ეს ერთობლივი „მონახულებები“ საჯაროდ განხორციელდა, ფართო საზოგადოებასთან აფიშირდა და გაშუქდა სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ.

„განათლებისა და მეცნიერების ქალაქის“ მშენებლობა, ხულო-ზარზმის გზის სამშენებლო სამუშაოები და პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებმა მაჟორიტარ კანდიდატებთან ერთად დაათვალიერეს, სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ხორციელდება. შესაბამისად, სახელმწიფოს ადმინისტრაციულ რესურსს წარმოადგენს. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს, როგორიცაა - პრემიერ-მინისტრი, თბილისის მერი და აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი, არ ეზღუდებათ წინასაარჩევნო აგიტაცია. თუმცა, ამ შემთხვევებში პრობლემა დგას იმ კუთხით, რომ ადმინისტრაციული რესურსი, სახელმწიფოს დაფინანსებით მიმდინარე კონკრეტული პროექტები იქნა გამოყენებული აგიტაციისთვის.

ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, რესან კონცელიძე, 2016 წლიდან 2020 წლის აგვისტომდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე. ზაალ მიქელაძე კი აჭარის ჯანდაცვის მინისტრი 2016 წლიდან. ზემოაღნიშნული პროექტების მონახულების დროს, ისინი „ქართული ოცნების” მიერ საჯაროდ იყვნენ გამოცხადებული მაჟორიტარ

[11] სტატია - „ქართული ოცნების“ ლიდერები ბათუმში, „განათლებისა და მეცნიერების ქალაქის“ მშენებლობის პროცესს გაეცნენ“: https://www.interpressnews.ge/ka/article/615640-kartuli-ocnebis-liderebi-batumshi-ganatlebisa-da-mecnierebis-kalakis-msheneblobis-process-gaecnen/

[12] სტატია - „ქართული ოცნების“ ლიდერებმა ხულო-ზარზმის გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს“: https://www.interpressnews.ge/ka/article/615700-kartuli-ocnebis-liderebma-xulo-zarzmis-gzis-samsheneblo-samushaoebi-daatvalieres/

[13] სტატია - „ქართული ოცნების“ ლიდერებმა პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს“: https://imedinews.ge/ge/regioni/160222/qartuli-otsnebis-liderebma-petras-tsikhis-sareabilitatsio-samushaoebi-daatvalieres

კანდიდატებად[14]. მათი წარსული და მიმდინარე სამსახურებრივი უფლებამოსილებები არანაირ კავშირში არ არის ზემოაღნიშნულ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან. შესაბამისად, წარმოიქმნება დასაბუთებული ვარაუდი, რომ მათი მონაწილეობა ამ პროექტების სამუშაოების მონახულებასა და საზოგადოებასთან აფიშირებაში ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მიზნად ემსახურებოდა მათი კანდიდატურებისადმი საზოგადოების კეთილგანწყობისა და მოახლოებულ არჩევნებში მათთვის მხარდაჭერის მოპოვებას.

სხვადასხვა სამთავრობოთაშორისო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დოკუმენტებიდან გამომდინარე, რითაც განსაზღვრულია დემოკრატიული, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ძირითადი პრინციპები, ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენება სახეზეა, როდესაც სახელმწიფოს მატერიალური, არამატერიალური და ფინანსური რესურსი გამოიყენება რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო აქტივობის ხელშეწყობის მიზნით[15]. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებით მიმდინარე პროექტები - „განათლებისა და მეცნიერების ქალაქის“ მშენებლობა, ხულო-ზარზმის გზისა და პეტრას ციხის რეაბილიტაცია - რომელიც მოიცავს სახელმწიფოს როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ რესურსს, მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის ხელშესაწყობად იქნა გამოყენებული. შესაბამისად, სახეზეა ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენება.

პრემიერ-მინისტრმა და ქალაქ თბილისის მერმა მაჟორიტარ კანდიდატებთან ერთად ინფრასტრუქტურული პროექტები წინასაარჩევნო პერიოდში მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონებში მოინახულეს. 3 სექტემბერს მათ შიდა ქართლის რეგიონში, კასპსა და ხაშურში მოინახულეს მიმდინარე და ახლადდასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებთან ერთად[16]-[17]-[18] და მოახდინეს ერთობლივი ვიზიტების საზოგადოებასთან

[14] „ვინ ვინ არის - „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები - განახლებადი“: https://bit.ly/3meV35r

[15] „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის: https://transparency.ge/ge/post/administraciuli-resursebis-gamoqeneba-2018-clis-sakartvelos-saprezidento-archevnebistvis-0 ;

[16] სტატია - „ქართული ოცნების“ ლიდერებმა კასპის ახლად აშენებული პროფესიული კოლეჯი და ინოვაციების ცენტრის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს“:

აფიშირება. მსგავს ვიზიტებს ჰქონდა ადგილი, ასევე, ქვემო ქართლის რეგიონში[19]-[20]-[21]. მსგავსი ვიზიტების ორგანიზებული და მასშტაბური ხასიათი წინასაარჩევნო პერიოდში და მასში მმართველი პარტიის ლიდერების მონაწილეობა ცხადყოფს, რომ ვიზიტები მმართველი პარტიის მიერ იყო კოორდინირებული.

საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების ვიწრო დეფიციინიას გვთავაზობს. გარკვეული ქმედებები, რომელიც შესაძლოა, წარმოადგენდეს ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენებას და არღვევდეს საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოს კანონმდებლობის რეგულირების მიღმა რჩება. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონახულების და საზოგადოებასთან აფიშირების ზემოაღნიშნული ფაქტები სწორედ მსგავს შემთხვევას წარმოადგენს.

სახელმწიფოს ბიუჯეტით განხორციელებული სამუშაო არ წარმოადგენს მმართველი პარტიის საკუთრებას. შესაბამისად, მმართველ პარტიას უფლება არ აქვს, აღნიშნული სამუშაო გამოიყენოს თავისი ვიწროპარტიული ინტერესებისთვის. ეს ეწინააღმდეგება სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის მკვეთრი ზღვრის გავლების პრინციპს, რომელსაც განამტკიცებს ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი.

---

https://www.interpressnews.ge/ka/article/616402-kartuli-ocnebis-liderebma-kaspis-axlad-ashenebuli-propesiuli-koleji-da-inovaciebis-centris-samsheneblo-samushaoebi-daatvalieres/ ;

[17] სტატია - „ქართული ოცნების“ ლიდერებმა კასპის ფეხბურთის ცენტრალური სტადიონი და საფეხბურთო სკოლა დაათვალიერეს“: https://www.interpressnews.ge/ka/article/616413-kartuli-ocnebis-liderebma-kaspis-pexburtis-centraluri-stadioni-da-sapexburto-skola-daatvalieres/ ;

[18] სტატია - „ქართული ოცნების“ ლიდერები ხაშურში, პროფესიული სასწავლებლისა და ბანას სამონასტრო კომპლექსის ანალოგიური სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობას გაეცნენ“: https://www.interpressnews.ge/ka/article/616454-kartuli-ocnebis-liderebi-xashurshi-propesiuli-sascavleblisa-da-banas-samonastro-kompleksis-analogiuri-samonastro-saganmanatleblo-centris-msheneblobas-gaecnen/ ;

[19] სტატია - „ქართული ოცნების“ ლიდერებმა სოფელ საღრაშენის ახლად აშენებული საჯარო სკოლა დაათვალიერეს“: https://imedinews.ge/ge/regioni/159135/qartuli-otsnebis-liderebma-sopel-sagrashenis-akhlad-ashenebuli-sajaro-skola-daatvalieres

[20] სტატია - „ქართული ოცნების“ ლიდერები მარნეულში, პროფესიული სასწავლებლის მშენებლობის პროცესს გაეცნენ: https://www.interpressnews.ge/ka/article/614693-kartuli-ocnebis-liderebi-marneulshi-propesiuli-sascavleblis-msheneblobis-process-gaecnen/

[21] სტატია - „ქართული ოცნების" ლიდერებმა გარდაბნის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს“: https://www.interpressnews.ge/ka/article/614710-kartuli-ocnebis-liderebma-gardabnis-parkis-sareabilitacio-samushaoebi-daatvalieres/

- *იმერეთის რეგიონი*

წინასაარჩევნოდ მოტივირებული ინიციატივის ნიშნები

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, ზაფხულის თვეებში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა სკვერების მოწყობის მასშტაბური სამუშაოები, რომელიც შეიცავს წინასაარჩევნოდ მოტივირებული ინიციატივის ნიშნებს.

2020 წლის იანვარში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ 8 სკვერის მოწყობაზე ტენდერი გამოცხადდა. 8 სკვერის მოწყობის სამუშაოების ღირებულება, საერთო ჯამში, მილიონ ლარს აღემატება[22]. სკვერების მოწყობის სამუშაოები ქუთაისში არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, 2020 წლის მაისში დაიწყო და ზაფხულის თვეების განმავლობაში, ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე ინტენსიურად მიმდინარეობდა, რიგ შემთხვევებში, დასრულდა და სკვერები გაიხსნა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატების მონაწილეობით.

2020 წლის ივლისში გაიხსნა ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში ახალი სკვერი. ამ სკვერის მოსაწყობად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 277 700 ლარი დაიხარჯა[23]. სკვერის გახსნას ესწრებოდნენ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და საკრებულოს წევრი, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მაჟორიტარი დეპუტატი[24]. 2020 წლის აგვისტოში გაიხსნა ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე ახალი სკვერი, რომლის მოწყობისათვის 134 496 ლარი დაიხარჯა[25]. სკვერის გახსნას მერიის წარმომადგენლებთან ერთად, ესწრებოდა საკრებულოს წევრი, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მაჟორიტარი დეპუტატი[26]. ტენდერის ფარგლებში მიმდინარეობდა სკვერის რეაბილიტაცია ასევე რუსთაველის გამზირის მე-8

---

[22] „ქუთაისში მიმდინარე წელს 10 სკვერი მოეწყობა“: http://kutaisi.gov.ge/ge/kutaisshi-mimdinare-cels-10-skveri-moecqoba

[23] „ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში, ახალი სკვერი გაიხსნა“: http://kutaisi.gov.ge/ge/kutaisshi-avtokarxnis-dasaxlebashi-axali-skveri-gaixsna

24 სტატია, „ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში ახალი სკვერი გაიხსნა“: https://bit.ly/39sBt1Y

[25] ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია: https://www.facebook.com/plugins/post.php?href=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Fpermalink.php%3Fstory_fbid%3D3309759999103188%26id%3D311713165574568&width=500

[26] *იგივე.*

ჩიხთან, რომლის ღირებულება შეადგენდა 117 804 ლარს[27]. ტენდერის ფარგლებში ასევე მოეწყო ჭავჭავაძის N52 გამზირის მიმდებარედ არსებული სკვერი და ამ სამუშაოს ღირებულება 84 976 ლარად შეფასდა[28]. ტენდერის ფარგლებში მიმდინარეობდა ასევე კოსტავას ქუჩაზე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები[29].

სკვერების მოწყობის სამუშაოები ქუთაისის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან კანონის დაცვით განხორციელდა. თუმცა, პრობლემურია სკვერების გახსნის ღონისძიებებში მერიის წარმომადგენლებთან ერთად ქუთაისის საკრებულოს წევრი მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატების მონაწილეობა. სკვერების გახსნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენს, ამ შემთხვევაში - ქუთაისის მერიის და არა საკრებულოს, რომელიც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა. მერიის წარმომადგენლებთან ერთად ამ პროცესში საკრებულოს წევრი მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატების მონაწილეობა, სავარაუდოდ, უკავშირდება მოახლოებულ არჩევნებზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ ამომრჩეველთა კეთილგანწყობისა და მხარდაჭერის მოპოვებას. ამ შემთხვევაშიც სახეზეა სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისათვის განხორციელებული საბიუჯეტო პროექტის მმართველ პარტიასთან ასოცირების მცდელობა. ეს ქმედება ატარებს წინასაარჩევნოდ მოტივირებული ინიციატივის ნიშნებს.

საკადრო ცვლილებები ქუთაისის მერიაში

საანგარიშო პერიოდში ქუთაისის მერიაში განხორციელდა საკადრო ცვლილებები, რაც ბუნდოვანი იყო და გათავისუფლების მიზეზად სახელდებოდა თანამშრომლების პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლება. 2020 წლის ივნისში თანამდებობა დატოვა ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და იძულებით

[27] ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია - „ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში, ახალი სკვერი გაიხსნა“: http://kutaisi.gov.ge/ge/kutaisshi-avtokarxnis-dasaxlebashi-axali-skveri-gaixsna ;
[28] *იგივე.*
[29]ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია: https://www.facebook.com/plugins/post.php?href=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Fmedia%2Fset%2F%3Fset%3Da.3134762449936278%26type%3D3&width=500

გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსმა[30]. არსებული ინფორმაციით, მან თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა[31]. პოსტებზე უარი თქვეს, ასევე, ადმინისტრაციული და აუდიტის სამსახურის უფროსებმა. უფლებამოსილება შეუწყდა ასევე ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ნიკოლოზ ლატარიას. არსებული ინფორმაციით, მან თანამდებობა პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე დატოვა[32]. 2020 წლის ივლისში საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა ასევე ქუთაისის მერის მოადგილემ[33].

➢ *საპროტესტო აქციები იმერეთისა და აჭარის რეგიონებში*

საანგარიშო პერიოდში აქტიურად იმართებოდა საპროტესტო აქციები იმერეთისა და აჭარის რეგიონებში.

იმერეთის რეგიონში აქციები შეეხებოდა ინფრასტრუქტურულ და მწვავე სოციალურ პროლემებს, მაგალითად: გზების, ხიდების[34], სასმელი წყლისა და ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემებს[35], ასევე - მდინარე რიონზე „ნამახვანჰესის“ მშენებლობას, რომელიც, გარემოსდამცველთა შეფასებით, ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნის ქუთაისსა და მიმდებარე მუნიციპალიტეტებს[36].

აჭარის რეგიონში გამართული საპროტესტო აქციები შეეხებოდა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ, მათ შორის - პანდემიით გამოწვეულ პრობლემებს, ასევე - რეგიონში არსებულ სხვა პრობლემებს. უფრო კონკრეტულად, საანგარიშო პერიოდში აჭარის რეგიონში აქციები მოიცავდა შემდეგ საკითხებს: თურქეთში მომუშავე პირების აქცია თურქეთთან საზღვრის

---

[30] სტატია - „მორიგი საკადრო ცვლილება ქუთაისის მერიაში“: https://www.kutaisipost.ge/ka/akhali-ambebi/article/17730-morigi-sakadro-cvlileba-quthaisis-meriashi?fbclid=IwAR1r0IiyJmRiATTIk2nxI0RTEyLoSRon4kOmmvIO4CMRC1j-Nu0JbHrnHo8

[31] *იგივე.*

[32] იგივე.

[33] სტატია - „ქუთაისის მერის მოადგილემ თანამდებობა დატოვა“: https://reginfo.ge/politics/item/18557-qutaisis-meris-moadgilem-tanamdeboba-datova

[34] *სტატია - „არ გვაქვს გზა, სკოლა, წყალი, დაზიანებულია ხიდები და არ არის საძოვრები" - მაღლაკის მოსახლეობამ აქცია გამართა“:* http://newpress.ge/ar-gvaqvs-gza-skola-wyali-dazianebulia-xidebi-da-ar-aris-sazovrebi---sofel-marlakis-mosaxleobam-aqcia-gamarta?fbclid=IwAR1TgbQmLcdho1ileyp22VAwn-jUxRDoWgzIUMs1USpTZ1ulo68HLpDi8Sw

[35] „მოსახლეობის აქცია სოფელ ბანოჯაში“: https://www.youtube.com/watch?v=xpUh8vhu5V8

[36] სტატია - „არა დიდ ჰესებს“ - ნამოხვანჰესის წინააღმდეგ ქუთაისში აქცია გაიმართა“: http://firstnews.ge/index.php/2018-07-19-18-59-49/2018-07-19-19-15-51/sazogadoeba/item/6997-2020-06-23-08-40-06?fbclid=IwAR3eVz1QHIuMAQWoGDq-2g6HRSz3grBQr0x2GalMn5fz4bzjvru_T0vkvo4#.XvHKfc-QfF0.facebook

გახსნისა და კომპენსაციის მიღების მოთხოვნით[37], გარემოვაჭრეების აქცია ძველ სავაჭრო ადგილზე დაბრუნების მოთხოვნით[38], აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა გათავისუფლებასთან დაკავშირებული აქციები[39], საპროტესტო აქციები ხულიგნობის ბრალდებით დაკავებული სპორტსმენების, ელდარ ანთაძისა და რეზო წულუკიძის გათავისუფლების მოთხოვნით[40].

- *სამცხე-ჯავახეთის რეგიონი*

საანგარიშო პერიოდში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაძაბული იყო წინასაარჩევნო გარემო, ახალქალაქი-ნინოწმინდის მოქმედ მაჟორიტარ დეპუტატს, ენზელ მკოიანსა და ყოფილ დეპუტატს, სამველ პეტროსიანს შორის არსებული დაპირისპირების გამო. ენზელ მკოიანი პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატია მმართველი პარტიიდან, „ქართული ოცნებიდან“. ხოლო, სამველ პეტროსიანი ოპოზიციური პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი დეპუტატი[41], ამჟამად კი - „პატრიოტთა ალიანსის” წევრი.

2020 წლის 26 მარტს მასმედიის საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია ახალქალაქი-ნინოწმინდის მოქმედი მაჟორიტარი დეპუტატის, ენზელ მკოიანის სახლთან სროლის ფაქტის შესახებ[42]. ამ ფაქტთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა ენზელ მკოიანის ძმიშვილი, არმენ მკოიანი და სამველ პეტროსიანი დააკავეს, რომლებსაც ბრალდება ხულიგნობის მუხლით წარუდგინეს[43]. 31 მარტს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა[44]. სამველ პეტროსიანი და არმენ მკოიანი წინასწარი

---

[37] „საპროტესტო აქცია თურქეთში საზღვრის გახსნის მოთხოვნით“: https://www.youtube.com/watch?v=nyrwgdcnrNU

[38] სტატია - „ბათუმში გარემოვაჭრეები მუშაობის უფლებას ითხოვენ“: https://batumelebi.netgazeti.ge/news/282512/

[39] სტატია - „აჭარის ტელევიზიის 230 თანამშრომელი 3 გათავისუფლებული კოლეგის დაბრუნებას ითხოვს“: https://batumelebi.netgazeti.ge/news/292777/

[40]„არ ჩაცხრება ეს მუხტი - ბათუმში, დაკავებული სპორტსმენების გათავისუფლებას ითხოვენ“: =https://mtavari.tv/news/5834-ar-chatskhreba-es-mukhti-batumshi-dakavebuli

[41] სტატია - „ახალქალაქში დეპუტატ ენზელ მკოიანის სახლთან სროლა იყო“: http://sknews.ge/index.php?newsid=26583

[42] *იგივე.*

43 სტატია - „ ახალქალაქში მომხდარი ხულიგნობისა და სროლის ფაქტზე დაკავებულებს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდათ“: http://sknews.ge/index.php?newsid=26702

[44] *იგივე.*

პატიმრობიდან გირაოს სახით 20-20 ათასი ლარის გადახდის შემდეგ ივნისში გაათავისუფლეს[45].

2020 წლის ივლისში სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, რომელიც ახალქალაქში 2020 წლის 26 მარტს მომხდარ ინციდენტს ასახავს. ფოტოში ჩანს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, ენზელ მკოიანი როგორ იშვერს იარაღს მოქალაქეების მიმართულებით[46]. ენზელ მკოიანმა სოციალურ ქსელ ფეისბუქზე განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც დაადასტურა, რომ ინციდენტის დროს თავადაც ისროლა იარაღიდან, ჰაერში. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ გასროლა განახორციელა თავდაცვის მიზნით[47]. გავრცელებულ ფოტოებში ჩანს, რომ იარაღით ხელში მყოფი ენზელ მკოიანის შეჩერებას პოლიციის თანამშრომელი ცდილობს[48]. ეს ფოტოები წარმოაჩენს ენზელ მკოიანის მხრიდან სისხლის სამართლის კოდექსით გათვლისწინებული სავარაუდო დანაშაულის - ხულიგნობის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის წევრს გააჩნია იმუნიტეტი, რომლის თანახმად, პარლამენტის წევრის დაკავებისას, დაპატიმრებისას და ჩხრეკისას საგამოძიებო ორგანოებს პარლამენტის თანხმობა სჭირდებათ. კონსტიტუცია არ კრძალავს პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. საგამოძიებო ორგანოებმა ენზელ მკოიანი აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით მოწმის სახით გამოკითხეს[49]. მის წინააღმდეგ საქმე არ აღძრულა, მიუხედავად შესაბამისი საფუძვლების სავარაუდოდ არსებობისა.

---

[45] სტატია - „ოცნების“ დეპუტატი მკოიანი პეტროსიანს მისდევს და ისვრის - მარტის ინციდენტის ვიდეო“:https://reginfo.ge/people/item/18618-%E2%80%9Eoznebis%E2%80%9C-deputati-mkoiani-petrosians-misdevs-da-isvris-martis-inzidentis-video

[46] სტატია - „ენზელ მკოიანი მოქალაქეების მისამართით ისვრის“: http://sknews.ge/index.php?newsid=28568

[47] სტატია - „დაპირისპირება ახალქალაქში ყოფილ და მოქმედ დეპუტატებსა და მათ ნათესავებს შორის“: https://netgazeti.ge/news/439525/

[48] სტატია - „ენზელ მკოიანი მოქალაქეების მიმართულებით ისვრის“: http://sknews.ge/index.php?newsid=28568

[49] სტატია - „დაპირისპირება ახალქალაქში ყოფილ და მოქმედ დეპუტატებსა და მათ ნათესავებს შორის“: https://netgazeti.ge/news/439525/

ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი (1 სექტემბერი – 30 ოქტომბერი) (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი და იმერეთი)

➢ *იმერეთის რეგიონი*

იმერეთის რეგიონში, წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების შემთხვევა. კერძოდ, საჯარო სკოლის შენობის მმართველი პარტიის მხარდაჭერის მიზნით გამოყენების ფაქტი.

27 ოქტომბერს, გაერთიანებული ოპოზიციის, პარტიის „ძალა ერთობაშია“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა წყალტუბო-სამტრედია-ვანი-ხონი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, ნანუკა ჟორჟოლიანმა, გაავრცელა ვიდეო, რომელშიც ნაჩვენებია შეხვედრა ზედა ვანის საჯარო სკოლაში[50]. მისი ინფორმაციით, შეხვედრას მმართველი პარტიის წევრებთან ერთად, ესწრებოდნენ ზედა ვანის რწმუნებული, ზედა ვანის სკოლის დირექტორი, ზედა ვანის ბაღის გამგე და მერიის წარმომადგენლები. ვიდეოში ისმის შეხვედრაში მონაწილე ერთ-ერთი პირის რეპლიკა - „შიდა პარტიული საუბარი გვაქვს“. პარტიის „ძალა ერთობაშია“ წევრებს უფლება არ მისცეს, დასწრებოდნენ ამ შეხვედრას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში იკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, წინასაარჩევნო აგიტაციის ან კამპანიის პროცესში „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, აგრეთვე - იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა“.

საჯარო სკოლის შენობა წარმოადგენს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ რესურსს. შესაბამისად, მისი გამოყენება წინასაარჩევნო პერიოდში კონკრეტული პარტიის მხარდასაჭერად დაუშვებელია, გარდა იმ

[50] ვიდეო: https://www.facebook.com/108112752594050/posts/4518646808207267/

შემთხვევისა, როცა სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც აქვთ იმავე შენობის იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობის იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში, მსგავსი გამონაკლისი არ ყოფილა.

შეხვედრაში, მმართველი პარტიის გარდა, სხვა პარტიების წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ. ოპოზიციურ პარტიებს შეეზღუდათ შეხვედრაში მონაწილეობის შესაძლებლობა. ეს ფაქტი წარმოაჩენს, რომ შეხვედრა საჯარო სკოლის შენობაში სწორედ მმართველი პარტიის მხარდაჭერის მიზნით გაიმართა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე.

იმერეთის რეგიონში, ოფიციალურ წინასაარჩევნო პერიოდში, წინა პერიოდის მსგავსად, გრძელდებოდა მოსახლეობის საპროტესტო აქციები მწვავე სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით. 5 სექტემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოდოგნის მოსახლეობამ დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურა გააპროტესტა. მწვავე სოციალურ პრობლემებზე, მათ შორის - გზების, ხიდების, სასმელი წყლისა და ტრანსპორტის პრობლემებზე იმერეთის რეგიონში ხშირად იმართებოდა აქციები ზაფხულის თვეებში, ოფიციალურ წინასაარჩევნო პერიოდამდე მცირე ხნით ადრეც.

- ***სამცხე-ჯავახეთის რეგიონი***

ოფიციალურ წინასაარჩევნო პერიოდში გრძელდებოდა ძალადობრივი ინციდენტები ახალქალაქი-ნინოწმინდის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ირგვლივ. ოფიციალურ წინასაარჩევნო პერიოდამდე ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ„ქართული ოცნების“ მოქმედი დეპუტატი ენზელ მკოიანი და ოპოზიციური პარტიის, „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატი სამველ პეტროსიანი. ერთ-ერთ ასეთ ინციდენტთან დაკავშირებით, სამველ პეტროსიანი და ენზელ მკოიანის ძმისშვილი - ა.მ. სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაშიმიეცნენ[51]. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ფოტო და ვიდეომასალა მიუთითებდა ასევე ენზელ მკოიანის მხრიდან სავარაუდო დანაშაულის ჩადენას, მის წინააღმდეგ საქმე არ აღძრულა[52]. გამოძიება ენზელ მკოიანის მოწმის სახით გამოკითხვით შემოიფარგლა. პასუხგაუცემელი დარჩა საზოგადოების შეკითხვები მის მიერ სავარაუდო

[51]ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში - „წინასაარჩევნო გარემო საქართველოს რეგიონებში“: http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/report2020/cinasaarchevno%20mdgomareoba%20regionebshi%202020.pdf

[52] *იგივე.*

დანაშაულის ჩადენის შესახებ[53], რასაც საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია ადასტურებდა.

სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალადობრივ ფაქტებზე ადეკვატური რეაგირების ნაკლებობა და შერჩევითი მართლმსაჯულება ახალისებს დანაშაულს. დეპუტატის იმუნიტეტი არ გულისხმობს იმას, რომ იგი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას და პროცედურების დაცვით. საქართველოს სამართალდამცავმა უწყებებმა თითოეულ მსგავს ფაქტთან დაკავშირებით უნდა აწარმოონ სრულფასოვანი და ეფექტური გამოძიება და პასუხისგებაში მისცენ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი.

ახალქალაქში ძალადობრივი ინციდენტები გრძელდებოდა ოფიციალურ წინასაარჩევნო პერიოდშიც. 26 ოქტომბერს ტელეკომპანია „ფორმულამ“ გაავრცელა ინფორმაცია მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, სამველ მანუკიანის ფიზიკური შეურაცხყოფის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით. სამველ მანუკიანის ფიზიკური დაზიანების ფაქტი დაადასტურა ახალქალაქის საავადმყოფოს მენეჯერმაც[54]. სამველ მანუკიანის განცხადებით, სოფელ დიდ სამსარში წინასაარჩევნო შეხვედრის შემდეგ მას დაესხა თავს ახალქალაქის მკვიდრი, რომელიც დამოუკიდებელი კანდიდატის, ენზელ მკოიანის ხმების მოგროვებაზე მუშაობს[55]. ენზელ მკოიანმა ამ ფაქტთან კავშირი უარყო. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 187-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ძალადობას და სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას[56].

წინასაარჩევნო პერიოდში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაფიქსირდა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრების ფაქტები. კერძოდ - ადიგენში, ვარხნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რუსუდან ხობიაშვილი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე იმყოფებოდა[57]. ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი,

---

[53] განცხადება - „კოალიცია თანასწორობისთვის ენზელ მკოიანის საქმის გამოძიებას ითხოვს“: http://tdi.ge/ge/statement/koalicia-tanascorobistvis-enzel-mkoianis-sakmis-gamoziebas-itxovs

[54] სტატია - „ახალქალაქში ოცნების კანდიდატს ფიზიკურად სავარუდოდ ოცნების საკრებულოს დეპუტატი გაუსწორდა“: https://formulanews.ge/News/38530

[55] სტატია - „ოცნების“ კანდიდატი სამველ მანუკიანი აცხადებს, რომ თავს დაესხნენ და ცხვირი გაუტეხეს“: https://reginfo.ge/politics/item/19706-%E2%80%9Eoznebis%E2%80%9C-kandidati-samvel-manukiani-azxadebs%2C-rom-kampaniis-dros-tavs-daesxnen-da-zxviri-gautexes

[56] *იგივე.*

[57] იხილეთ ინფორმაცია: http://sknews.ge/ka/old/29667

ნაირა სამსონიძე კი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ანტონ ობოლაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრებს დაესწრო.

საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო კომისიის წევრს ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა და წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, დაირღვა კანონის ეს მოთხოვნა, რადგანაც პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო კანდიდატის მიერ მოსახლეობასთან გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობა ნიშნავს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას.

- ***აჭარის რეგიონი***

25 ოქტომბერს, ონლაინ მედია საშუალება batumelebi.netgazeti.ge-მ გაავრცელა ინფორმაცია და ფოტომასალა, რომლის თანახმად, ხელვაჩაურის მერი, ჯუმბერ ვარდმანიძე მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრებზე სამსახურებრივი ავტომანქანით დააფიქსირეს[58]. მართალია, მერი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს წარმოადგენს და მას აქვს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება, მაგრამ საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, „სახელმწიფო ხელისუფლების ან მუნიციპალიტეტის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება“ ნებისმიერ პირს ეკრძალება. მოცემული შემთხვევა ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენებას წარმოადგენს.

[58] იხ. ინფორმაცია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/302390/

არჩევნების დღე

- *იმერეთის რეგიონი (ხონი, წყალტუბო და ქუთაისი)*

იმერეთის რეგიონში ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები აკვირდებოდნენ საარჩევნო პროცესს ხონის, წყალტუბოსა და ქუთაისის საარჩევნო უბნებზე უბნების გახსნიდან, კენჭისყრის პროცესის დასრულებამდე, ასევე - ხმის დათვლისა და შემაჯამებელი ოქმების შევსების პროცესს.

ამ მუნიციპალიტეტებში კენჭისყრამ, ძირითადად, მშვიდ გარემოში ჩაიარა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებს არ დაუფიქსირებიათ მნიშვნელოვანი საარჩევნო დარღვევები. თუმცა, დაფიქსირდა უბნის მიმდებარე ტერიტორიებზე მმართველი პარტიის კოორდინატორების აქტიურობა, რომლებიც სიებით ხელში აღრიცხავდნენ უბნებზე მისულ ამომრჩევლებს. მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა წყალტუბოში და ქუთაისში. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, 25 მეტრი რადიუსში დაუშვებელია ამომრჩეველთა შეფერხება. მსგავსი მოქმედებები, რიგ შემთხვევებში, 25 მეტრი რადიუსის მიღმა ტერიტორიაზე ხორციელდებოდა. მმართველი პარტიის კოორდინატორების აღნიშნული მოქმედებები საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოადგენს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე ზემოქმედებას, რაც ხელს უშლის არჩევნების სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარებას.

პრობლემურ საკითხებს შორის უნდა აღინიშნოს კორონავირუსთან დაკავშირებული წესების დაცვის შეუძლებლობა, რიგ შემთხვევებში - უბნების ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე. ზოგჯერ კი კომისიის წევრთა მხრიდან აღნიშნული წესების აღუსრულებლობის გამო.

რიგ შემთხვევებში, საარჩევნო უბნებზე არ იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ზოგიერთ უბანზე არ იყო ოთახის განიავების შესაძლებლობა. ასევე, ხშირ შემთხვევებში, დაცული არ იყო კომისიის წევრებს შორის დისტანცია. რიგ შემთხვევებში, ნაკადის მარეგულირებელთა მიერ ამომრჩეველთა ნაკადი სათანადოდ არ რეგულირდებოდა და ამომრჩევლების რიგში, ამომრჩეველთა შორის დაცული არ იყო დისტანცია. ზოგიერთ საარჩევნო უბანზე არ ხდებოდა დამკვირვებლის თერმოსკრინინგი.

მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ თავიანთი ადგილების ხშირად დატოვების შემთხვევები, რის შესახებაც არ კეთდებოდა შესაბამისი ჩანაწერი ჩანაწერთა წიგნში.

წყალტუბოს №8 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველმა ორი სხვადასხვა ბიულეტენი მოათავსა ორ სხვადასხვა კონვერტში და ორივე ჩააგდო საარჩევნო ყუთში. ამ ფაქტთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა საარჩევნო უბანზე წარადგინა საჩივარი და მოითხოვა ყუთის ზედამხედველის დისციპლინარული პასუხისმგებლობა.

ქალაქ ქუთაისის №74 საარჩევნო უბანზე არ ხდებოდა ამომრჩეველთა ნაკადის მოწესრიგება და დაცული არ იყო დისტანცია. არ კონტროლდებოდა პირბადეების ტარება. კენჭისყრის კაბინა იყო ფარდიანი, რაც ეწინააღმდეგება კოვიდ უსაფრთხოების წესებს. ამ საკითხებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა უბანზე წარადგინა საჩივარი.

ქალაქ ქუთაისის №10 საარჩევნო უბნის შიდა ტერიტორიაზე დაფიქსირდა ხალხმრავლობა. არ ხდებოდა ნაკადის მოწესრიგება და დისტანციის დაცვა. უბნის შესასვლელში იყო კალამი, რომელსაც იყენებდნენ მრავალჯერადად. მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელამ უბანზე წარადგინა საჩივარი.

- ***სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (ახალციხე, ახალქალაქი და ადიგენი)***

ადამიანის უფლებათა ცენტრი არჩევნებს აკვირდებოდა ახალციხის, ახალქალაქისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ უბნებზე. საარჩევნო პროცესმა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში, ძირითადად, წესების დაცვით ჩაიარა. თუმცა, მსგავსად იმერეთის რეგიონისა, პრობლემას წარმოადგენდა კორონავირუსის პრევენციისათვის საჭირო წესების დაცვა. ამის მიზეზს, რიგ შემთხვევებში, წარმოადგენდა საარჩევნო უბნის ინფრასტრუქტურა, კერძოდ - უბნის მცირე სივრცე. რიგ შემთხვევებში კი, კომისიის წევრები არ იცავდნენ წესებს - არ არეგულირებდნენ ხალხის ნაკადს, რაც უბანზე ქმნიდა ხალხმრავლობას.

ახალციხის №17.37.08 უბანზე დაფიქსირდა მმართველი პარტიის კოორდინატორების აქტიურობა საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. კოორდინატორები სიებით ხელში იდგნენ და აღრიცხავდნენ უბანზე გამოცხადებულ ამომრჩევლებს.

ახალციხის №17.37.08 უბანზე დაირღვა ამომრჩევლის პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალობის პრინციპი. კერძოდ, თავმჯდომარისა და კომისიის წევრების მხრიდან მესამე პირს, დამკვირვებელს, გადაეცა კომისიის პლანშეტი, რომელიც აღჭურვილი იყო ამომრჩეველთა მონაცემების საძიებო პროგრამით. ეს დამკვირვებელი ამომრჩევლის მოსვლისას უახლოვდებოდა რეგისტრატორის მაგიდას, კითხულობდა ამომრჩევლის პირად ნომერს მისი პირადობის მოწმობიდან და პროგრამის საშუალებით ეძებდა ამომრჩევლის სიით ნომერს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მოთხოვნის შემდეგ, აღკვეთილიყო აღნიშნული ქმედება, თავმჯდომარემ დამკვირვებელს გამოართვა პლანშეტი. ამის შემდეგ მსგავსი ქმედება აღარ განმეორებულა.

- ***აჭარის რეგიონი (მახინჯაური, ბათუმი, ხელვაჩაური, გონიო და სარფი)***

2020 წლის 31 ოქტომბერს აჭარაში საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, ჩატარდა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. შესაბამისად, აჭარის საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველი 4 ბიულეტენს ავსებდა - საპარლამენტო არჩევნების პროპორციულ და მაჟორიტარულ, ასევე, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პროპორიციულ და მაჟორიტარულ ბიულეტენს. ამომრჩეველთა მიერ 4 ბიულეტენის შევსება და კოვიდ 19-თან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების გაკონტროლებამ საარჩევნო პროცესი გაახანგრძლივა და ამომრჩეველთა გრძელი რიგები წარმოშვა.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, ძირითადად, იცავდნენ საარჩევნო პროცედურებს, დადებითად რეაგირებდნენ და ითვალისწინებდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების შენიშვნებს.

დაფიქსირდა შემდეგი სახის დარღვევები: ხშირი შემთხვევები, როდესაც კომისიის წევრები არ ატარებდნენ ფარს. საარჩევნო უბანზე, ხშირად, დაცული არ იყო დისტანცია. კომისიის წევრების მიერ თავიანთი ადგილის დატოვების შემთხვევაში, არ კეთდებოდა ჩანაწერი ჩანაწერთა წიგნში. იმ პირებს, რომელთაც სჭირდებოდათ დახმარება ხმის მიცემაში, პირველ რიგში, კომისიის წევრები ეხმარებოდნენ. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითების შემდეგ, ამომრჩეველს, არსებული წესების დაცვით, სხვა ამომრჩეველს ახმარდნენ.

ხშირი იყო საარჩევნო ყუთის ბიულეტენებით გავსების შემთხვევები. ამ დროს კომისიის წევრები ყუთებს აჯანჯღარებდნენ, რათა ყუთებში ცარიელი

სივრცე წარმოქმნილიყო. ყუთის დამატებაზე, ძირითადად, თავს იკავებდნენ. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ამომრჩევლებს ბიულეტენები დარჩათ კენჭისყრის კაბინაში. ეს ბიულეტენები გაბათილდა.

დაფიქსირდა არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლებმა არ იცოდნენ, თუ რომელ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ და ასახელებდნენ პოლიტიკურ პარტიებს. ასევე არ ჰქონდათ ინფორმაცია დამკვირვებლების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

№28.79.19 უბანზე ამომრჩეველთა რეგისტრაციისას ერთი დამკვირვებელი მეორე დამკვირვებელს ჩურჩულით ეუბნებოდა ამომრჩევლის სახელსა და გვარს, რომელიც მობილურში იწერდა ნაკარნახევ ინფორმაციას. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მიუთითა კომისიის თავმჯდომარეს, რომ ამ ქმედებით ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოხატვას ექმნებოდა საფრთხე. თავმჯდომარემ არ აღმოფხვრა პრობლემა, რაზეც ცენტრის დამკვირვებელმა უბანზე წარადგინა საჩივარი.

არჩევნების შემდგომი პერიოდი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში დისბალანსის ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა - ბიულეტენების რაოდენობა არ ემთხვეოდა უბანზე მოსულ ამომრჩეველთა რაოდენობას. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის განვითარების საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) ინფორმაციით, შემაჯამებელი ოქმების დისბალანსის შემთხვევები დაფიქსირდა საარჩევნო უბნების 8%-ზე[59]. ორგანიზაციის ინფორმაციით, ამას შესაძლოა, გავლენა მოეხდინა საარჩევნო სუბიექტების შედეგებზე, კერძოდ - მაქსიმალური გავლენა იქნებოდა 4,1%-ზე ნაკლები.

არჩევნების მეორე დღეს საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებში გაგრძელდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შეკრება და შესწორების ოქმების შეტანა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებზე უპრეცედენტო რაოდენობით შესწორების ოქმი შედგა. 507 უბანზე დაიწერა შესწორების ოქმი (პროპორციული), რაც უბნების 13.8%-ს

[59] სტატია - „ცესკომ თავიდან უნდა გადათვალოს ხმები უბნების იმ 8%-ზე, სადაც ბიულეტენების მეტობა დაფიქსირდა - ISFED“: https://bit.ly/2KSJuTJ

წარმოადგენს მთელი საქართველოს მასშტაბით[60]. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეს მაჩვენებელი იყო 353 (9.57%). რაც შეეხება მაჟორიტარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, 584 უბანზე დაიწერა შესწორების ოქმი, რაც წარმოადგენს უბნების 15.39%-ს მთელი საქართველოს მასშტაბით. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეს მაჩვენებელი იყო 271 (7.46%).

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, შემაჯემებელ ოქმებში შეცდომები მექანიკური ხასიათის იყო. მისი განცხადებით, ოქმი იყო შესავსებად რთული, ორსვეტიანი. ასევე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე უპრეცედენტო რაოდენობით საარჩევნო სუბიექტი იყო წარმოდგენილი, რამაც მონაცემთა შეყვანისას ადამიანური შეცდომები გამოიწვია[61].

ამომრჩეველთა ხმების შეჯამებისას ყველაზე დიდი დისბალანსი ბათუმის მე-19 უბანზე შედგენილ ოქმში აღმოჩნდა. ამ უბანზე 795-მა ამომრჩეველმა მისცა ხმა. თუმცა, ოქმის მონაცემებით, საარჩევნო სუბიექტებმა ჯამში 3050 ხმა მიიღეს. აღნიშნულ ოქმში შეყვანილი იყო ოთხი სახის ბიულეტენის მონაცემები - საპარლამენტო არჩევნების პროპორციული და მაჟორიტარული, ასევე, აჭარის უმაღლესი საბჭოს პროპორციული და მაჟორიტარული. საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა ამ ფაქტთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება წარმოადგინა, სადაც აღნიშნა, რომ ეს იყო გადაღლილობით გამოწვეული ტექნიკური შეცდომა[62].

შემაჯამებელ ოქმებში დაფიქსირებული ზემოაღნიშნული ხარვეზები წარმოაჩენს, რომ საარჩევნო კომისიები უნდა დაკომპლექტდეს უფრო მეტად კვალიფიციური კადრებით. ასევე, გაგრძელდეს კომისიის წევრთა მუდმივი გადამზადება და არსებითი ყურადღება გამახვილდეს შემაჯამებელი ოქმების შევსების საკითხებზე.

[60] სტატისტიკური ინფორმაცია შესწორების ოქმებისა და ახსნა-განმარტებების შესახებ: https://cesko.ge/geo/list/show/123377-statistikuri-informatsia-shestsorebis-oqmebisa-da-akhsna-ganmartebebis-shesakheb?fbclid=IwAR1Pr86dWFtEGFCnhCjmnJ82Al6dF-LjvGj-O94fKBLmdqHO3htKLy4oQmo

[61] იხილეთ ინფორმაცია: https://metronome.ge/story/308840

[62] სტატია - „გაყალბებული ოქმები“ - რა შეცდომები იყო, რა გასწორდა, რა ვერა“: https://bit.ly/3fLf558

რეკომენდაციები

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები დაკომპლექტდნენ კვალიფიციური პირებით;
- გაგრძელდეს საოლქო საარჩევნო კომისიებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გადამზადება საარჩევნო წესებთან და პროცედურებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შემაჯამებელი ოქმების შევსების საკითხებს;

პოლიტიკურ პარტიებს:

- შეწყდეს საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე პარტიების, განსაკუთრებით კი - მმართველი პარტიის კოორდინატორების მხრიდან ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე ზემოქმედება და უბნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა აღრიცხვა;
- პარტიებმა არ დაარღვიონ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის“ 25² მუხლი, რომლის თანახმადაც პარტიას ეკრძალება საქართველოს მოქალაქეებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მატერიალური ფასეულობის გადაცემა.

საქართველოს მთავრობას:

- სხვადასხვა საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვის გზით, იზრუნოს სამთავრობო უწყებებში დასაქმებულ პირთა ცნობიერების ამაღლებაზე და ასწავლოს მათ, რას ნიშნავს ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენება;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური დახმარება მოსახლეობას არ უნდა გადაეცეს იმგვარად, რაც შექმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს დახმარება მმართველი პარტიიდან მომდინარეობს და არა სახელმწიფოდან;

საქართველოს პროკურატურას:

- გამოძიებულ იქნას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის“ 25² მუხლის სავარაუდო დარღვევის შემთხვევები, რომლის თანახმადაც, პარტიას ეკრძალება საქართველოს მოქალაქეებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მატერიალური ფასეულობის გადაცემა.

საქართველოს პარლამენტს:

- საარჩევნო კოდექსში შევიდეს ცვლილება და აიკრძალოს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის რადიუსში არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.